ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 7

ქ. ონი 27. 07. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, გივი მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, ვლადიმერ ბერელიძე.

არ ესწრებოდნენ: ვასილ მეტრეველი, ლევან ორდინიძე, თეიმურაზ ცეცაძე, ნოდარ ბურდილაძე,

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი შორენა ბიძიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

2.ონის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხის განხილვისა და მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. შორენა ბიძიშვილი-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

3.,,2022 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. შორენა ბიძიშვილი-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი

4. ონის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების შესახებ.

/მომხსენებელი: გივი მეტრეველი- კომისიის თავმჯდომარე/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 6 თვის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია განვლილი 6 თვის მუშაობისა და შემდგომი პერიოდის გეგმების შესახებ.

/მომხსენებელი: თორნიკე მეტრეველი-კომისიის წევრი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ ინფორმაცია 2022 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოსმენილი იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ფრაქცია ქართული ,,ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე, აღსანიშნავია, რომ დაბალია II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით, საჭიროა

განსაკუთრებული ძალისხმევა და აქტიური ერთობლივი მუშაობა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის კუთხით 37%-ანი შესრულება იმაზე მეტყველებს, რომ პრობლემაა ამ მიმართულებით და მეტი აქტიურობა და ჩართულობაა საჭირო უკეთესი შედეგის მისაღებად.

ზ. ბენდიანიშვილმა განაცხადა, რომ პრობლემაა ტენდერების დაგეგმვის და ჩატარების კუთხით. არ შედგა გამოცხადებული ტენდერების უმრავლესობა პრედენდენტთა არარსებობის გამო, ბევრი ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება უნდა ხდებოდეს გეგმის მიხედვით. I კვარტალი ორგანიზაციულ საკითხებს უნდა ეთმობოდეს, II-III კვარტალი პროექტების განხორციელებას, ხოლო IV კვარტალი ხარვეზების აღმოფხვრას. შეცდომა იყო ბაზრის მშენებლობის ტენდერის გამოცხადება პროექტის შესრულებითა და თანმდევი პროექტირებით, რის გამოც არ შედგა ტენდერი და გამოცხადდა განმეორებით. სწორი დაგეგმვა და გონივრული ვადების განსაზღვრაა საჭირო მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

ლ. შერაზადიშვილმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების კუთხით დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გამოიწვია ცუდმა ბუნებრივმა, არასათანადო სამუშაო პირობებმა I კვარტალში. ძირითადად ჩამორჩენაა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების მიმდინარეობის მიმართულებით, შემსრულებელი ფირმა ,,იერი" გასულ წლებში კარგად მუშაობდა, მიმდინარე წელს აქვს პრობლემები და ვერ ასრულებს სამუშაოებს. გვქონდა შეხვედრა ფირმის ხელმძღვანელებთან, როგორც მათ აღნიშნეს, უახლოეს პერიოდში გამოასწორებენ მდგომარეობას. მერია მუშაობს ყველა მიმართულებით, რომ მდგომარეობა ბიუჯეტის შესრულების კუთხით გამოსწორდეს და მიმდინარე წელი სასურველი შესრულების მაჩვენებლით დასრულდეს.

ბ. მარკოიშვილმა განაცხადა, რომ მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით, ისე ყველა მიმართულებით, მოლოდინი შემდეგ კვარტლებში შესრულების კუთხით გვაქვს უკეთესი და ვფიქრობთ, 2022 წელს კარგი შედეგით დავასრულებთ.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხის განხილვისა და მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. შორენა ბიძიშვილი-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

შ. ბიძიშვილმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხის განხილვისა და მოწონების შესახებ.

გადაწყდა: საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად..

მოისმინეს: 3. ,,2022 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე, თანამომხს. შორენა ბიძიშვილი-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი საკრებულოს 2022 წლის 24 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა ორი სოფლის - პატარა ღებისა და ირის სოფლის პროექტებში. სოფ. პატ. ღებში სველი წერტილის მოწყობის ნაცვლად მოსახლეობამ მოითხოვა სკვერის მშენებლობა, ხოლო სოფ. ირში წყლის რეაბილიტაციის ნაცვლად სკვერისა და აუზის მშენებლობა.

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების შესახებ.

/მომხსენებელი: გივი მეტრეველი- კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 6 თვის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 6 თვის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია განვლილი 6 თვის მუშაობისა და შემდგომი პერიოდის გეგმების შესახებ.

/მომხსენებელი: თორნიკე მეტრეველი-კომისიის წევრი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ განვლილი 6 თვის მუშაობისა და შემდგომი პერიოდის გეგმების შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე